ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7566843

ნომერი: AR11096581

თარიღი : 24.06.2025

გაცემის თარიღი : 24.07.2025

გაცნობის თარიღი : 24.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 49 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვ. 08/036) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ა , (ნაკვეთი 08/028) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 , (ნაკვ. 08/035);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024

წლის 27 მაისის №7042092 და 2025 წლის 24 დეკემბრის №7332064 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 24 ივნისს №AR11096581 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 27 მაისის №7042092 და 2025 წლის 24 დეკემბრის №7332064 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 27 მაისის №7042092 ბრძანებით, №01.14.07.008.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა უმაღლესი სასწავლებლები/სპორტული უნივერსიტეტის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ასევე, სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7332064 შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 27 მაისის №7042092 ბრძანებაში და შეთანხმდა უმაღლესი სასწავლებლები/სპორტული უნივერსიტეტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2025 წლის 20 თებერვლის №7386098 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7332064 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით, დღევანდელი მდგომარეობით, აღარ არსებობს სამსახურის მიერ გამოცემული - ზემოაღნიშნული ბრძანებების საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლები/სპორტული უნივერსიტეტის მშენებლობის ინტერესი. აქედან გამომდინარე, ითხოვს მათ ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 892024935634, მომზადების თარიღი: 24/12/2024 წ.) თანახმად, №01.14.07.008.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ვი არ ვაკე თაუერსი“ (ს/ნ: 404649010), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24162736, მომზადების თარიღი: 19/12/2024 წ.) თანახმად შპს „ვი არ ვაკე თაუერსის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნოშრევან ნამორაძე (პ/ნ: 01018000728). ხოლო, მის მიერ 2025 წლის 27 იანვარს გაცემული №27/01 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

განმცხადებლის მიერ სამსახურში ასევე წარმოდგენილ იქნა საპროექტო ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა. ამასთან, სამსახურში წამროდგენილია 2022 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება და მასში შესული 2025 წლის 17 ივნისის ცვლილება.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლუკა ჩაგანავას 2025 წლის 24 ივნისის №AR11096581 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 მაისის №7042092 და 2025 წლის 24 დეკემბრის №7332064 ბრძანებები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.